# აჭარის ტელევიზია და რადიო

საზოგადოებრივი მაუწყებელი

2019 წლის I კვარტლის ანგარიში

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა
3. კვარტლის მიღწევა
4. კვარტლის გამოწვევა
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები
   რადიო - შედეგები და საჭიროებები
   ონლაინი - შედეგები და საჭიროებები
6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები
7. იურდიული მხარდაჭერა
8. კვარტლის ტენდერები
9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა
10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა
11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი
13. ჩვენი სხვა აქტივობები
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

## 1. შესავალი

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „აჭარის მაუწყებელი“ „მაუწყებელი“) 2019 წლის სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) აქტივობების შედეგები - პირველი კვარტალური ანგარიში.

მოგეხსენებათ, მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

#ვმუშაობთსაზოგადოებისთვის - ამ სლოგანის ქვეშ თანდათან ერთიანდება მაუწყებლის ყველა ატივობა, რადგან მთავარი კანონისმიერი ვალდებულებებია[1]:

- ✓ უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება
- ✓ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
- ✓ საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები
- ✓ პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი
- ✓ ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი
- ✓ ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით

[1] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 16

- ✓ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები
- ✓ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი
- ✓ ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- ✓ სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები
- ✓ უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაცაა, რომ მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოში.

## 2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

აჭარის მაუწყებელში საქმიანობის წინასწარი დაგეგმვის სტანდარტი უკვე განსაზღვრავს მაუწყებლის დღის წესრიგს.

2019 წლის პირველი კვარტლის მთავარი გამოწვევა ტექნიკური პრობლემების მოგვარება - ახალი ტექნიკის შეძენა, სტუდიური და სივრცითი მოწყობა იყო. მათ შორისაა, ახალი რადიო სიხშირეების მართვის საკითხი. ამავე დროს გრძელდებოდა გადაცემების შინაარსობრივი ცვლილების და განახლების პოლიტიკა. საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში არ მოგვეცა შესაძლებლობა შეგვეძინა საჭირო ტექნიკა ტენდერებისათვის საჭირო პროცედურებზე ნებართვის არ არსებობის გამო, თუმცა შესაძლებლობების ფარგლებში მაუწყებელმა დაიჭირა თადარიგი ტექნიკური გადაიარაღების მიზნით.

### კვარტლის მთავარი ამოცანები:

- ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
- ✓ გაზაფხულის სეზონის მომზადება/შეფუთვების ცვლილება
- ✓ ტექნიკის შეძენა
- ✓ რადიო სიხშირეების გამოყენება ახალ მონიჭებულ უბნებზე

### თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:

- ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
- ✓ თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა

### სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა

- ✓ სატელევიზიო ეთერში ე.წ.თოქშოუს ზოლის გამართვა

### შეთავაზება მესამე პირებისათვის

- ✓ მაუწყებლის წარმომადგენლების შეხვედრების გამართვა მუნიციპალიტეტებში, ასევე პროფესიულ სამიზნე ჯგუფებთან (ადგილობრივი თვითმმართველობები, სპორტსმენები, ექიმები, განათლების სპეციალისტები და ა.შ, რადგან არჩევნების მეორე ტურის გამო გასულ კვარტალში შეხვედრები არ შედგა)
- ✓ პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღისათვის მზადება

### ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა

- ✓ ახალი ვებგვერდის ამოქმედება
- ✓ რადიოს გადამცემების მოწყობა აჭარის ფარგებს გარეთ
- ✓ სტუდიებს შორის კავშირის დამყარება

### ფინანსური საკითხები

- ✓ 2019 წლის ბიუჯეტის მართვა
- ✓ გაყიდვების მართვა
- ✓ დონორებთან კომუნიკაცია

## 3. კვარტლის მიღწევა

1. **არჩევნების (და სარედაქციო დამოუკიდებლობის) შეფასება ეუთოს სადამკვირვებლო მისიის მიერ** - „აჭარის ტელევიზია მეტწილად ფოკუსირებული იყო ადგილობრივი, რეგიონული მოვლენების გაშუქებით და ლიმიტირებული, თუმცა დაბალანსებული სივრცე დაუთმო საარჩევნო კამპანიის აქტივობებს. ეს იყო ერთადერთი ტელესადგური, რომელმაც შესთავაზა მაყურებელს არჩევნებში მონაწილეთა ზოგადი შედარება“ - ასე შეაფასა ჩვენი საქმიანობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიშში. საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ 28 თებერვალს გამოქვეყნებულ ანგარიშში ეუთომ შეაჯამა ქართული მედიის ძირითადი ტენდენციები. საგულისხმოა, რომ ორგანიზაცია პირველი და მეორე ტურისთვის ცალ-ცალკე აკვირდებოდა მედიას რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგის ფარგლებში (I ტური — 24 სექტემბრიდან 27 ოქტომბრამდე, II ტურისთვის მონიტორინგი კი 30 ოქტომბერს განაახლა). ეუთო ექვს მაუწყებელსა და სამ ვებსაიტს სწავლობდა.[2]
2. **მაუწყებლის ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის კუთხით განხორციელებული აქტივობები** - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთავარი საჭიროება მაუწყებლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება იყო.
   როგორც წინა კვარტალურ ანგარიშებშია აღნიშნული, 30 წელზე მეტია მაუწყებელი არაადაპტირებულ შენობაშია დროებით განთავსებული. კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოძველებული სტუდიები, გაუმართავი და არასაკმარისი სამუშაო გარემო, რომელიც მოიცავს საფრთხეს ადამიანების ჯანმრთელობისათვის და არ ტოვებს შესაძლებლობას შინაარსობრივად მრავალფეროვანი სტუდიური გადაცემები შეიქმნას.
   შესაბამისად, წინა პერიოდებში ჩვენ ვაგრძელებდით კონსულტაციებს ადგილობრივ მთავრობასთან  და შემდგა სხვადასხვა დონის შეხვედრები შენობის საკითხზე. ამ სამუშაოების ფარგლებში მაუწყებელმა კიდევ ერთხელ მიმართა აჭარის მთავრობას ფართო დისკუსიის ფორმატში ვიმსჯელოთ მაუწყებლის შენობის თაობაზე.
   ამ დროისათვის კი ჩვენთვის ცნობილია, რომ მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის შექმნის პროცესი მთავრობის აპარატთან.
   საგულისხმოა, რომ ამ დროისათვის ჩვენ დავასრულეთ სამუშაოები მძღოლების ოთახის მოსაწყობად. მაუწყებლის არსებობიდან დღემდე ტექნიკურ პერსონალს მანქანაში უწევდა მოცდა, რადგან ამ დრომდე არ არსებობდა სათანადო სივრცე განთავსებისათვის. მესამე სართულის სარემონტო სამუშაოებთან ერთად, ასევე შესაძლებელი გახდა სხვა სივრცეების შეკეთება და ათვისება.

3. **მაუწყებლის გუნდის გაძლიერება** - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის გუნდში ორი მნიშვნელოვანი სიახლეა: ჟურნალისტი და

[2] https://www.osce.org/odihr/elections/georgia/412724?download=true

მედიამენეჯერი ზვიად ქორიძე [3] საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს გუნდს შემოუერთდა. იგი აჭარის მაუწყებლის მართვის მოდელზე/სტრუქტურასა და შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტებზე იმუშავებს. ერთობლივი საქმიანობის მთავარი აქცენტები მაუწყებლის ტელე, რადიო და ვებპლატფორმებისმართვის დოკუმენტის მომზადება, სამაუწყებლო ბადის ანალიზი და სრულყოფა იქნება. ზვიად ქორიძე შიდა მონიტორინგის სისტემის სრულყოფასა და მაუწყებლის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იმუშავებს, ასევე ჩაერთვება დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში კი იქნება მაუწყებლის წარმომადგენელი. ზვიად ქორიძე 25 წელზე მეტია პრაქტიკულ ჟურნალისტიკაშია, არის მრავალი პუბლიკაციის და გადაცემის ავტორი. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“, „ტელეიმედის“, ტელეკომპანია „მზეს“, „პირველი არხის“ ახალი ამბების რედაქციებში. ასევე იყო სხვადასხვა გამოცემების რედაქტორი და კონსულტანტი.

ზვიად ქორიძე 2011 – 2013 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს. არის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანაავტორი, რომლის საფუძველზე შეიქმნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“.

მეორე სიახლე კი ნათია ზოიძის მაუწყებლის დირექტორის პირველი მოადგილის პოსტზე დანიშვნა [4] მისი მომავალი საქმიანობის სფერო მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა იქნება.

აღსანიშნავია, რომ 2005-2008 წლებში ნათია ახალი ამბების რედაქციას ხელმძღვანელობდა აჭარის ტელევიზიაში. 2004-2008 მუშაობდა ახალი ამბების რეპორტიორად ტელეკომპანია „მზეში“, სააგენტო „ინტერპრესნიუსში“ და რადიო „იმედში“, 2008-2009 წლებში იყო პოლიტიკური თოქ-შოუს ავტორი და წამყვანი, „ტელეარხ 25-ზე“, 2009-2012 წლებში კი იყო გამომძიებელი ჟურნალისტი „გაზეთ ბათუმელებში“ და იმავდროულად წერდა პოლიტიკის საკითხებზე „ნეტგაზეთში“.

2012-2014 წლებში ნათია ზოიძე იყო ტელეკომპანია „იმედის“ ახალი ამბების მთავარი გამოშვების პროდიუსერი. ბოლო ხუთი წლის მანძილზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ ანალიტიკოსის პოზიცია ეჭირა.

4. **მაუწყებლის საქმიანობის ფორმირება** - საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სისტემური გამართვისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, შიდა და გარე აუდიტების ანგარიშების რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოვლენილი ხარვეზებისა და სამსახურეობრივი გამართულობის უზრუნველსაყოფად დაინიშნა ადმინისტრაციის უფროსი. ეს ცვლილება მაუწყებლის სამ პლატფორმად დაყოფის თანმდევი/შემდგომი ეტაპი იყო. რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს

[3] http://ajaratv.ge/news/ge/37461/zviad-qoridze-atcharis-sazogadoebrivi.html.html?fbclid=IwAR0CoYdU0vTMbVwiQth76jD3qBNemDfBV9hBcd6m_naE_8XN6Gi6h30jIcE
[4] http://ajaratv.ge/news/ge/39688/natia-zoidze-sazogadoebrivi.html

სამი პლატფორმისათვის საჭირო რესურსების მობილიძებას და დროის, ასევე ფინანსების ეკონომიურად, შედეგზე ორიენტირებულად მართვას.

5. **საერთაშორისო მხარდაჭერა აჭარის მაუწყებელს** - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელმა უმასპინძლა საქართველოსთვის ორი მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნის წარომადგენლებს - ამერიკის ელჩს როს უილსონს უმასპინძლა[5] ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა ჩაგვეწერა ელჩთან ექსკლუზიური ინტერვიუ [6] ინტერვიუმდე, ელჩი შეხვდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის გუნდის წარმომადგენლებს და მაუწყებლის დირექტორს ნათია კაპანაძეს. საუბარი შეეხო აჭარის მაუწყებლის დღევანდელობასა და სამომავლო გეგმებს, ასევე იმას, თუ რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას დღეს მედია საქართველოში.

   **ამასთანავე მაუწყებელმა უმასპინძლა იაპონიის საელჩოს წარმომადგენელს.** საუბარი შეეხო აჭარის მაუწყებლის დღევანდელობასა და სამომავლო გეგმებს, ასევე იმას, თუ რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას დღეს მაუწყებელი.

6. **დოიჩეველეს მხარდაჭერა** - საანგარიშო პერიოდში დოიჩეველეს მხარდაჭერით შედგა სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისში. დონორ ორგანიზაციასთან დაზუსტდა/შეთანხმდა 2019 წლის მთავარი საჭიროებები და ერთობლივი სამუშაო ფორმატი, რაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება მაუწყებლის სისტემური განვითარებისათვის. საანგარიშო კეიოდში მაუწყებელმა ასევე უმასპინძლა დოიჩეველეს გუნდს, რომელმაც მოამზადა მასალები აჭარის ტელევიზიის და რადიოს ცვლილებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მაუწყებელი დოიჩეველეს 2018 წლის ყველაზე წარმატებული პროექტის სახით მონაწილეობს საერთაშორისო მედიაფორუმზე.

7. **ახალი ვებ** - გვერდის შექმნა მაუწყებლის სამივე პლატფორმისათვის.

8. **ფილმების სტუდიის შექმნის თაობაზე დაგეგმილი შეხვედრები და სამუშაო გეგმები**

9. **საგამოძიებო ფილმების კონკურსი** - გამოვლინდა გამარჯვებული

10. **თოქშოუს ზოლის გამართვა**

11. **რადიოს შუადღის ზოლის გამართვა**

12. **თურქეთსა და უკრაინაში მიმდინარე საარჩევნო პროცესების გაშუქება**

[5] http://ajaratv.ge/news/ge/37814/sazogadoebrivi-mautskeblis.html

[6] http://ajaratv.ge/news/ge/37956/amerikis-sheertebuli-shtatebis.html.html

## 4. კვარტლის გამოწვევა

კვარტლის მთავარი სირთულე კვლავაც ტექნიკური პრობლემებთან გამკლავება იყო.

მოძველებული ტექნიკა და მაუწყებლობა შენობის გარეშე/ ინფრასტრუქტურული მოუწყობლობა მაუწყებლის საქმიანობის თანმდევი ურთულესი და მწვავე პრობლემაა.

სამწუხაროა, რომ დრომდე მაუწყებელი მთავრობის კუთვნილ ქონებებს იკავებს, რითაც ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული სახელმწიფო ტელევიზიის მოცემულობისაგან.

დღეისათვის დროებითი შენობები სრულიად არ შეესაბამება მაუწყებლის საჭიროებებს. მაგალითად, რადიო განთავსებულია მრავალბინიანი კორპუსის პირველ სართულზე, ხშირი იყო შემთხვევა როცა მეზობლებისაგან ჩამოვიდა წყალი. შესაბამისად, ყოველდღიური საფრთხის წინაშეა რადიოს აპარატურაც. 2019 წლის პირველი კვარტალის მთავარი გამოწვევა ტექნიკური ხარვეზები და მათთან გამკლავება იყო.

## 5. „პროგრამა=პრიორიტეტს" - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე.

ახალი ამბების და შემოქმედებითი გადაცემების განახლების პროცესს მიმართულების ხელმძღვანელები მარინა ვაშაყმაძესთან ერთად მართავდნენ. გასული კვარტლის სამუშაოები კვლავაც შეეხო როგორც ახალი ამბების, ისე შემოქმედების, მიმდინარე მაუწყებლობისა და განვითარების გუნდების მუშაობას.

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების გუნდის ცვლილებების მართვა ხდებოდა მაუწყებლის კონსულტანტთან, მარინა ვაშაყმაძესთან ერთად. დაიგეგმა და ეთერში განთავსდა ორი ახალი ტოქშოუ - „სათქმელი" და „თვითმმართველობის მიმართულებით"

გადაცემა „სათქმელი" ყოველკვირეული თოქშოუა, რომელიც იქნება პლატფორმა დისკუსიის ფორმატში საკითხების განხილვისათვის, გადაცემა „თვითმმართველობის მიმართულებით" კი თვითმმართველობის საკითხების ყოველკვირეულ განხილვას დაეთმობა. ფორმატები და გადაცემის შეფუთვა დამუშავდა მარინა ვაშაყმაძის მიერ. გადაცემების ეთერში ჩაშვებამდე კი მარინა ვაშაყმაძემ გუნდთან ერთად გამართა ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი.

მაუწყებლის ეთერშია განთავსდა კიდევ ერთი სოციალური გადაცემა „ათვლის კუთხე" რომელიც განხვავებული ფორმატის და დაგეგმარებით განიხილავს საზოგადოებისთვის საჭირო თემებს/გამოწვევებს.

საანგარიშო პერიოდის ერთ-ერთი სამუშაო იყო სტუდიური გადაწყობა. გამომდინარე იქედან, რომ მაუწყებელს არ გააჩნია მაუწყებლობისათვის საჭირო შენობა და ინფრასტრუქტურა, ჩვენ ხშირად გვიწევს ამოცანებიდან გამომდინარე შევცვალოთ გარემო. დღეისათვის გადაცემა „არტ-ექსპერტი“ აღარ აწარმოებს გარე გადაღებებს და სახელდახელოდ მომზადებული სტუდიიდან უკვე ყოველკვირეულად პირდაპირი ეთერის ფორმატში მაუწყებლობს თოქშოუს ზოლში 22:00 საათზე, ასევე სტუდია შეეცვალა გადაცემა „აკვარიუმს“ და გადაინაცვლა რადიოს შენობაში, საიდაც მოეწყო ახალი სტუდია და პირდაპირი ეთერის ფორმატით რადიოს შენობიდან გადაიცემა სამივე პლატფორმაზე.

გარე წარმოების ფარგლებში მაუწყებელმა ჩაატარა კონკურსი და დაიწყო საგამოძიებო ფილმების შეძენა.

შინაარსობრივი დეტალები იხილეთ დანართში

## #რადიო - შედეგები და საჭიროებები

პირველი კვარტლის მთავარი სამუშაო იყო რადიოს პროგრამული მრავალფეროვნების შექმნა.

ტექნიკურ ნაწილში მაუწყებელი ემზადება მარეგულირებელი კომისიის მიერ მონიჭებული სიხშირეების გამოყენებისთვის. საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი ელოდებოდა თანხმობას საქართველოს მთავრობისაგან საჭირო ტექნიკის შესაძენად.

შემოქმედებითი პროგრამების მიმართულებით კი ძირითადი აქტივობები რადიოს მუსიკალური ზოლის გამართვას შეეხებოდა. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ქართული
მუსიკის ზოლი და შუა დღის ზოლი
განახლდა რადიოს მუსიკალური ბადე
მომზადდა სამ პლატფორმაზე გათვლილი გადაცემის „აკვარიუმის“ სტუდია რადიოს შენობაში, ასევე შინაარსობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გაიმართა „რადიოვიზიის“ საეთერო სივრცე.

ჩაიწერა რადიოს შესაბამისი ტიხრები და საცნობები.

რადიოში მზადდება იდეები გარეწარმოებით შესაძენი პრიორიტეტრული გადაცემების საკონკურსო განაცხადისთვის.

ვების სამსახურთან ერთობლივი მუშაობის შედეგად საბოლოოდ დასრულდა მაუწყებლის ახალ ვებ-პლატფორმაზე მუშაობა. დალაგდა და გაიცხრილა საიტზე რადიოს გვერდის ფუნქციონალი და ტექნიკური მახასიათებლები.
გააქტიურებულია მუშაობა რადიო აჭარის სოციალური გვერდის მიმართულებით. რადიო აჭარის გვერდის მომხმარებელთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 4,400 დან 5,030 მდე. გვერდი გამოირჩევა მაქსიმალური ჩართულობით მომხმარებლის მხრიდან. რაც განპირობებულია რადიოს მიმართ დნობის მაღალი კოეფიციენტით.

შინაარსობრივი დეტალები იხილეთ დანართში

## #ონლაინი - შედეგები და საჭიროებები

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მთავარი ამოცანა ახალი ვებ გვერდის შექმნის პროცესი იყო. **ამ დრომდე ახალ პლატფორმაზე გადატანილია არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამუშაოები კვლავ გრძელდება.**

საანგარიშო პერიოდში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებსაიტის მომხმარებელთა ზრდის დინამიკა გაცილებით აქტიური იყო, ვიდრე 2018 წლის ბოლო კვარტალში.

ფბ ოფიციალური გვერდის მონაცემებისგან განსხვავებით, ვებ-საიტზე სტაბილურად მაღალი აქტივობა მანამდე არ დაფიქსირებულა.




ბოლო 3 თვის განმავლობაში, საიტზე ყოველდღიურად მინიმუმ 5 ათასი უნიკალური მომხმარებელი შემოდის (IP როცა პირველად ხსნის საიტს). საშუალოდ კი, დღეში 10 ათასი ახალი იუზერი შემოდის (ილუსტრაცია ზემოთ). (2018 წლის ბოლო კვარტალში, საშუალო მაჩვენებელი 5000 იყო.




2019 წლის 1 კვარტალში, უნიკალური მომხმარებლის მაქსიმუმი 25 მარტს, 23 ათას 959 მკითხველი დაფიქსირდა. 2018 წლის ბოლო კვარტალში მაქსიმუმი - 16 640 იყო.

რაც შეეხება ყოველდღიურად შემომსვლელებს - ე.წ. ჰიტებს (ადამიანებს, რომლებიც უკვე ერთხელ მაინც ნამყოფი არიან საიტზე). საშუალო მაჩვენებლად შეიძლება ჩავთვალოთ 15 000-დან 20 000-მდე მომხმარებელი. დინამიკა სტაბილურად მზარდია , დიაგრამაზე შემომსვლელთა მაქსიმუმი 43 ათასი, 25 მარტს დაფიქსირდა.




საშუალოდ, ერთი უნიკალური ვიზიტორი 2.1 გვერდს ათვალიერებს. ეს მონაცემი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გვიჩვენებს, რომ გარდა იმ

კონკრეტული ამბისა, რისთვისაც საიტზე შემოვიდა (ან გადმოვიდა სოც. ქსელიდან) მკითხველი, სხვა მასალითაც დაინტერესდა.

2017 წელს ჩვენი ამოცანა იყო, რომ მაუწყებლის საიტი განახლებად საინფორმაციო წყაროდ დაფიქსირებულიყო, სადაც უახლესი ამბები თავსდება. პირველი ამოცანა შესრულებულია და მაუწყებლის საიტი ონლაინ მედიაბაზარზე სხვა მედიასაშუალებებთან ერთად პოზიციონირებს.

თუმცა, ცენტრალური საინფორმაციო საშუალებების ონლაინსამსახურებს, მომხმარებელთა რიცხვი სამჯერ მეტი აქვთ.

2019 წლის მეორე კვარტალში ახალი საიტი უნდა ჩაეშვას, რაც ტექნიკურად მოგვცემს საშუალებას, რომ ადამიანური რესურსების დამატების შემთხვევაში, მონაცემები გაიზარდოს და ჩვენი პოზიციები დაუახლოვდეს ცენტრალურ მაუწყებლების მონაცემებს. .

სოციალური მედია

**ფბ მომხმარებლები** - ბოლო სამ თვეში 5 ათას 500 ლაიკერი მოგვემატა და მათი რაოდენობა 68 411 -დან 74 ათასამდე გაიზარდა.




ფოლოუერების რაოდენობამ კი 73 ათასიდან 80 ათასამდე მოიმატა



აუდიტორიის დიდი ნაწილი აჭარაში რეგისტრირებული მომხმარებელია. მას მოსდევს თბილისსა და ქუთაისში რეგისტრირებულები. მაუწყებლის კონტენტით ყველაზე მეტად დაინტერესებულია 25-34 წლის ახალგაზრდები არიან. მათი პროცენტული წილი 33% - 53 ათასია.

მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზიის მთავარ გვერდზე არ იბუსტება მასალები, რიჩების რაოდენობა კი საგრძნობლად გაზრდილია. 100 ათასიდან 160 ათასამდე.




ტელევიზიის გვერდზე მასალებს არ ვბუსტავთ. თავისთავად მასალის დარეკლამება ცუდი არ არის, თუმცა რთულია შემდეგ აუდიტორიის რეალური ინტერესის გაზომვა.

თანხები იხარჯება სხვა გადაცემების ფბ გვერდების დასაბუსტად. ძირითადად, ჰეშთეგი, დილის ტალღა, აკვარიუმი. იშვიათად რადიოვიზია და ბიბლიოთეკა.

საიტზე ვიზიტორების გარდა, ამ პერიოდში, გაზრდილი იყო ფბ გვერდებზე მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებლიც (კომენტარები, მასალის გაზიარება და ემოციის გამოხატვა). აქტიურად მოგვმართავდნენ მოქალაქეები წერილობითაც.

ტელევიზიის ოფიციალურ ფბ გვერდზე, სხვა ჯგუფებში განთავსებული პოსტებით გადმოდიან. დაბალია წილი გუგლიდან ან საიტიდან გადმოსულთა რიცხვი.

დღის განმავლობაში, საშუალოდ ფბ 40 -მდე პოსტი იდება. სამი თვის განმავლობაში 800 მდე კომენტარი დაიწერა, 7 500 ემოცია დაფიქსირდა სხვადასხვა პოსტზე.




45 ათასზე მეტმა მომხმარებელმა ნახა პოსტები და ვიდეოები, რომელიც დავდეთ გვერდზე. ლაივებს კი, სამი თვის განმავლობაში, 7000 -ზე მეტმა ადამიანმა უყურა (მაჩვენებელი ძალიან დაბალია), თუმცა ლაივის შემდეგ ფაილი 55 ათაზე მეტმა მომხმარებლმა გახსნა.

უფრო მეტი ნახვები აქვს ტელეფონით ჩართულ ლაივებს.

აუდიტორიის ინტერესი - არ შეცლილა. აქტუალურია თვითმმართველობის თემაზე მომზადებული მასალებს, ასევე სტუდენტებზე, აბიტურიენტებზე, სამედიცინო და ურბანულ საკითხებზე მომზადებულ მასალებს ჰქონდა მაღალი ნახვა და ინტერაქცია.

აქტუალურია, ასევე, გამწვანება, ეკოლოგია, ფინანსები, ემოციური პოზიტიური ამბები. განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ რჩება ავარიები, მკვლელობა, კრიმინალური ამბები.

გაცილებით მეტი ადამიანი ნახულობს ფოტოამბებს და მცირე ზომის ვიდეოებს. მულტიმედიაპროდუქტს. საერთო ნახვების დიდი წილი სწორედ ვიდეოებზე და ფოტოებზე მოდის.

მონაცემები ცხადყოფს, რომ საიტზე ადამიანთა მცირე ჯგუფი არ უყურებს ტელევიზიაში გასულ მასალებს, რომელიც მხოლოდ ვიდეოს სახით და ინტროთი იდება საიტზე.

დღეის მონაცემებით საქართველოს ცენტრალური მედიაორგანიზაციების ცხრილში, ფბ -ის ინტერაქციის მონაცემებით, საშუალო მაჩვენებლით 18 პოზიცია გვიჭირავს, გასულ კვარტალში 20-ე ადგილზე ვიყავით.

სოციალურ მედიაში ჩვენი პოზიციონირება სტაბილურია, თუმცა საკუთარი აუდიტორიის (ლაიკერების) ძალიან მცირე ნაწილია ჩართული. ეს აჩვენებს იმას, რომ არ იქმნება მრავალფეროვანი პროდუქტი, რომელიც ჩართავს ჩვენს საქმიანობაში სხვადასხვა ინტერესების მქონე მომხმარებლებს.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი აუდიტორიის დაინტერესების პრობლემა ყველა მედიასაშუალებას აქვს, ცხრილები უჩვენებს, რომ ვიდეოებს გადაზიარებებით უფრო აქვს ნახვები, კომენტარები და ა.შ.

**მაუწყებლის ონლაინპლატფორმის საბოლოო გამართვისათვის ადამიანური რესურსებით გაძლიერება მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება.**

## ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში შემოვიდა ერთი საჩივარი, რომელიც შეეხება ჯეროვან სიზუსტეს ახალ ამბებში - განმცხადებელი ხელვაჩაურის მერი.

ასევე მაუწყებელმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა სილქ როუდ ჯგუფის განცხადება „რივიერას“ მშენებლობასთან დაკავშირებით.

ორივე საკითხთან დაკავშირებით მაუწყებელმა შეიტანა ცვლილება მასალაში.

ხარისხის კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელი ჩართულია მმართველთა საბჭოს ფორმატში, რაც უქმნის შესაძლებლობას სამსახურს გაუცვალოს მოსაზრებები პასუხისმგებელ პირებს.

ამავე დროს გამოვლენილი ხარვეზების შემცირების მიზნით, მაუწყებელში მოწვეულია ექსპერტი - მარინა ვაშაყმაძე, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ეხმარება ახალი ამბებისა და შემოქმედებითი სამსახურის გუნდებს და პირველ რიგში, მმართველი საბჭოს წევრებს დასახული ამოცანების შესრულებაში. სამუშოები ყოველდღიურ ფორმატში მიმდინარეობს.

მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი სამუშაოების გამართვის მიზნით მუშაობს ექსპერტ ზვიად ქორიძესთან ერთად.

## 6. იურიდიული მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამსახურის მთავარი ამოცანა იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება და შეთანხმებების მიღწევა.

ამასთანავე საანგარიშო პერიოდში შედგა საქმის განხილვა მარეგულირებელ კომისიაში. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი საჩივარი შეეხებოდა შობის ლიტურგიის გადაცემას აჭარის მაუწყებლის ეთერით, როდესაც გამოყენებული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალი. მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება სანქციის გამოყენების შესახებ გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სააპელაციო წესით კამერის გატანის საკითხზე წარმოებული დავა. ამ ეტაპზე სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრების პროცესშია.

საქმისწარმოების მიმართულება:

2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში

შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - 694;

გარედან შემოსული - 119.

კანცელარიიდან გაიგზავნა 173 წერილი.

მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 04 ბრძანება;

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) – 91 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 51 ბრძანება.

რეგისტრაციაში გატარდა - 105 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

## 7. კვარტლის ტენდერები

2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ პირველ კვარტალში გამოცხადდა 12 ტენდერი, მათ შორის: მიმდინარეობს - 1, შერჩევა/შეფასების ეტაპზეა - 1, ხოლო 10 შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები. ასევე 4 განცხადების პროექტი ატვირთულია შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე, 1 შემთხვევაში მთავრობის აპარატში თანხმობისთვის გაგზავნილია წერილი, ხოლო სამ შემთხვევაში თანხმობისთვის გასაგზავნად მუშავდება გამოსაცხადებელი ტენდერის დოკუმენტაცია.

ინფორმაცია გაფორმებული ხეკლშეკრულებების შესახებ:

1. 15 გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 40 გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 9 ხელშეკრულება.
4. შესყიდვების გეგმის გარეშე გაფორმდა 20 ხელშეკრულება (ფილმების შესყიდვა, გარე წარმოება, საიჯარო და სხვა მომსახურებები).

## 8. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვისა და გაძლიერების მიზნით ადმინისტრაციის მიმართულება შეიქმნა. ამ სამუშაოების ფარგლებში გაერთიანდა ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი რგოლები. ამ სამუშაოების ფარგლებში:

1. 2019 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენების რეგლამენტი;
2. მიმდინარეობს მივლინებებისა და შვებულებების მართვის ელექტრონული პროგრამის შემუშავება/დანერგვის მიზნით აქტიური სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით მაუწყებლის წინაშე არსებული ამოცანების ოპერატიულად გადაწყვეტასა და გაზრდის გაწეული ხარჯების ეფექტიანობას;
3. დამუშავდა შეფასებისა და თვითშეფასების ფორმები, რომელიც ამ ეტაპზე შესასწავლად გადაეცა მმართველთა საბჭოს წევრებს.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის თანამშრომლები ვიწრო პროფესიული გადამზადების მიზნით ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ტრენინგებში. როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის თანამშრომლები სასწავლო მივლინებებით (ტრენინგებზე/სემინარებზე დასასწრებად) იმყოფებოდნენ: მათ შორის,

ა. ახალი ამბების გუნდის წევრები - 2019 წლის 14-დან 15 თევერვლის ჩათვლით იმყოფებოდნენ მედია ფორუმზე ქობულეთში. თემა: დეცენტრალიზაციის რეფორმის ძირითადი მიმართულებები

ბ. ახალი ამბების გუნდის წევრები - 2019 წლის 09-და 10 თებერვლის ჩათვლით იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. თემა: სასამართლოს ინსტიტუციური განვითარება;

გ. შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელი - ესწრებოდა 2019 წლის 15 თებერვალს თბილისში, შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით გაიმართულ შეხვედრა-ტრენინგს.

დ. 2019 წლის 20 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის ოპერატორებისათვის შედგა სწავლება;

ე. ახალი ამბების და შემოქმედების გუნდის წევრები 2019 წლის 23-24 თებერვალს ესწრებოდნენ ჟურნალისტური ეთიკი ქარტიის ორგანიზებით გამართულ ტრენინგს - თემაზე: არასრულწლოვანთა მართმსაჯულება;

ვ. 2019 წლის 5 მარტიდან 9 მარტის გადაცემა „ვემსახურები საქართველოს" ავტორი და წამყვანი იმყოფებოდა კახეთში (ყვარელში) ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ორგანიზებით გამართულ ტრენინგზე: თემა საგამოძიებო ჟურნალისტიკა;

ზ. 2019 წლის 28 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით ტექნიკური სამსახურის წარმომადგენელი იმყოფებოდა ბაკურიანში ,,სოფთლაინ საქართველოს" ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე/ტრენინგზე;

თ. 2019 წლის 18 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით ახალი ამბების გუნდის წევრები იმყოფებოდა დედაქალაქში მედიააკადემიის ორგანიზებით გამართულ ვირქშოპზე, თემა: ციფრული ეპოქა და სოციალური კვლევის მეთოდები.

ი. გადაცემა „მე ვარ ფერმერის" წამყვანი წარდგენილი იყო ქალაქ რომში საერთაშორისო აგროფორუმზე დასასწრებად.

## 9. „შემდეგი თაობა" სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის სტაჟირების პროგრამის მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომი იყო მაუწყებლის კონსულტანტის - მარინა ვაშაყმაძის ინიციატივით შექმნილი სპეციალური კურსი, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული უნარების განვითარებისათვის.

## 10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

გასული პერიოდების განმავლობაში მაუწყებელმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ ღიაა ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის.

ამ პოლიტიკის რეალიზება კი მოხდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

- ✓ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მაუწყებლის ეთერში განთავსებულია ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის „ამერიკის ხმის“ მასალები, ამავე დროს ძალაში შევიდა მემორანდუმის გაფართოებული პირობები, რაც გულისხმობს პარტნიორი ორგანიზაციის ჟურნალისტების პირდაპირ ეთერში ჩართვას ყოველკვირეულად
- ✓ მაუწყებელი და გერმანულენოვანი სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველე“ Deautche Welle[7] პარტნიორები არიან. რაც ნიშნავს იმას, რომ მაუწყებელი უფასოდ გადასცემს ევროპული პროდუქციას. მასალები კვლავაც ხელმისაწვდომია მაყურებლებისათვის ყოველკვირეულად. ჩვენი აუდიტორია ეცნობა ევროპული ღირებულების მასალებს.
- ✓ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ღია იყო თანამშრომლობისათვის სხვა მედიაორგანიზაციებთან. ამ ფორმატში ყველაზე ხშირად ვთანამშრომლობდით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, ასევე ტელეკომპანიებთან “tvპირველი” და “იმედი”

მაუწყებელი მადლობას უხდის ყველა პარტნიორს და მომდევნო პერიოდების განმავლობაში საქმიანობის კოლეგიურ ფორმატში გაგრძელების სურვილს გამოთქვამს.

ამავე დროს, მემორანდუმის საფუძველზე ვეხმარებით რეგიონულ მაუწყებლებს მაუწყებლის გადაცემების გაზიარებით.

[7] დოიჩე ველეს ოფიციალური ვებ გვერდი http://www.dw.com/en/top-stories/s-9097

## 11. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მაუწყებელი კვლავაც ღია იყო სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. ჩვენ ვმასპინძლობდით დაინტერესებულ პირებს და ვაცნობდით მედიაწარმოების პროცესს.

ჩვენ ვმონაწილეობდით საჯარო შეხვედრებსა და დისკუსიებში ქალთა უფლებების დაცვისა და გაძლიერების მიზნით.

## 12. ცხელი ხაზი

ამ დროისათვის შექმნილია ცხელი ხაზის სპეციალური ნომრები და მომზადდა საინფორმაციო რგოლი მოსახლეობასთან უკუკავშირისა და წყაროების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეები უმეტესად მოგვმართავდნენ შემდეგი პრობლემებით:

- მოუწესრიგებელი ინფრასტუქტურა
- დაბინძურებული გარემო
- დასაქმება
- სოციალური პრობლემები
- სამედიცინო მომსახურეობა

ყველა საკითხი გაშუქდა ახალი ამბების გამოშვებებსა და ანალიტიკურ გადაცემებში.

## 13. ჩვენი სხვა აქტივობები

ტექნიკის მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები მაუწყებლის განსაკუთრებული გამოწვევა იყო გასულ საანგარიშო პერიოდშიც.

1. მოწესრიგდა ვიდეო კავშირი 3 სტუდიიდან ცენტრალურ სააპარატოსთან პირდაპირი ჩართვებისათვის.
2. დამონტაჟდა ახალი განათება სტუდიებში.
3. გადაცემა აკვარიუმი გადავიდა რადიოში, სადაც მოხდა ტექნიკური გადაიარაღება.
4. გარემონტდა შემოქმედებითი და საინფორმაციო კამერების განათება
5. ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები კამერებსა და არსებულ სხვა ტექნიკაზე.
6. მომზადდა წინადადება ლაივუებისა და მინი მოძრავი ტელესადგურის შესყიდვასთან დაკავშირებით.
7. მომზადდა წინადადება კამერების შესაძენად.
8. მომზადდა წინადადება აუდიო სისტემის შესაძენად.
9. მომზადდა წინადადება აუდიო პულტის პროფილაქტიკასა და ფაიდერების შესაძენად.

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). დიზელ-გენერატორს ჩაუტარდა პროფილაქტიკური საუშაოები, გაირეცხა გენერატორის როტორი და გაიწმინდა სამონტაჟო კაბელები. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები აჭარის რადიოს FM გადამცემ ანტენებზე. გარემონტდა დენის უწყვეტი წყაროს და დიზელ - გენერატორის მართვის ბლოკი. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი. გადამცემი მუშაობს 104,5 მეგაჰერცის სიხშირეზე.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FMგადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა აჭარის რადიოსFM გადამცემი სადგურის ინდიკაციის და გამაძლიერებელის ბლოკები. გადამცემი მუშაობს 106,1 მეგაჰრცის სიხშირეზე.

